



2470/3-92/21 2 19032021

2470/3-92/21

19-03-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ ვახტანგ გომელაურს

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა #10

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სამართალდაცვით სფეროში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, კერძოდ, პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო სტრუქტურებთან დადებული შეთანხმებების და ამ შეთანხმებების ფარგლებში თანამშრომლობის მიმართულებების შესახებ. ამასთან, ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული (დასაიდუმლოებული), გთხოვთ, მოგვაწოდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამართალდაცვით სფეროში
თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული საერთაშორისო სამართლებრივი
დოკუმენტები**

საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდაცვით სფეროში აფორმებს სახელმწიფოთაშორის, მთავრობათაშორის და უწყებათაშორის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას როგორც ოპერატიული, ასევე სტრატეგიული/არაოპერატიული მიმართულებებით დანაშაულის, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოდანაშაულის, ადამიანით ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის, იარაღის უკანონო ბრუნვის, კიბერდანაშაულის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, გაცვალონ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დანაშაულების თავიდან აცილებასთან, გამოვლენასთან, გამოძიებასა და აღკვეთასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია; განახორციელონ ძებნილთა ან/და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა; გაუწიონ დახმარება ერთმანეთს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმართვაში; გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან, დანაშაულის თავიდან აცილებასთან და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მეთოდების, სპეციალური ხელსაწყოებისა და ხერხების გამოყენებასთან დაკავშირებით; ითანამშრომლონ პერსონალის ტრენინგისა და პროფესიული განვითარების სფეროში; დაეხმარონ ერთმანეთს შესაძლებლობების განვითარებაში.

ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან:

1. ავსტრია (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
2. აზერბაიჯანი (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
3. ბელარუსი (მთავრობათაშორისი);
4. ბულგარეთი (მთავრობათაშორისი);
5. გერმანია (მთავრობათაშორისი);
6. ეგვიპტე (მთავრობათაშორისი);

7. ესპანეთი (სახელმწიფოთაშორისი);
8. ესტონეთი (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
9. თურქეთი (მთავრობათაშორისი);
10. იტალია (მთავრობათაშორისი);
11. ისრაელი (მთავრობათაშორისი);
12. ლატვია (მთავრობათაშორისი);
13. ლიეტუვა (მთავრობათაშორისი);
14. მალტა (მთავრობათაშორისი);
15. მოლდოვა (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
16. პოლონეთი (მთავრობათაშორისი);
17. რუმინეთი (მთავრობათაშორისი);
18. საბერძნეთი (მთავრობათაშორისი);
19. საფრანგეთი (მთავრობათაშორისი);
20. სლოვაკეთი (მთავრობათაშორისი);
21. სომხეთი (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
22. უზბეკეთი (მთავრობათაშორისი);
23. უკრაინა (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
24. უნგრეთი (მთავრობათაშორისი);
25. ყაზახეთი (მთავრობათაშორისი);
26. ყირგიზეთი (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის);
27. შვედეთი (მთავრობათაშორისი);
28. ჩეხეთი (სახელმწიფოთაშორისი);

29. ჩინეთი (უწყებათაშორისი - სამინისტროებს შორის).

ევროპოლთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება

2017 წელს ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან (ევროპოლი) გაფორმებულ იქნა ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო შეთანხმება, რის შედეგადაც საქართველო გახდა ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა. ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე 2018 წელს გაფორმებული მემორანდუმების თანახმად, შს სამინისტრომ 2018 წლის სექტემბრიდან ევროპოლში მიავლინა თავისი მეკავშირე ოფიცერი, ხოლო 2019 წლის აპრილიდან შს სამინისტროსა და ევროპოლს შორის ამოქმედდა ინფორმაციის მიმოცვლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხი.

შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს აქვს შესაძლებლობა:

- ევროპოლთან და ევროპოლის მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან გაცვალოს დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები უსაფრთხო კომუნიკაციის არხის მეშვეობით.
- გამართოს მაღალი დონის შეხვედრები ევროპოლთან, შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხების და ზოგადად თანამშრომლობის განხილვის მიზნით;
- მიწვევის შემთხვევაში გააგზავნოს თავისი ეროვნული საკონტაქტო პუნქტის წარმომადგენელი ევროპოლის ეროვნული დანაყოფების ხელმძღვანელთა შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად;
- მოახდინოს მისი ექსპერტების ასოცირება ევროპოლის ანალიზის ჯგუფებში;
- მიიღოს მონაწილეობა ევროპოლის მიერ შექმნილ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში.

რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფარგლებში გაფორმებულია დანაშაულთან და კერძოდ მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ შეთანხმება და მისი ორი დამატებითი ოქმი საკონტაქტო პირების ქსელის შექმნის შესახებ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამის (GUAM) ფარგლებში გაფორმებულია ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და სხვა საშიშ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება და მისი დამატებითი ოქმი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და დაცვის შესახებ.

თანამშრომლობის მემორანდუმები

გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრეთვე აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ (დოკუმენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი). კერძოდ:

- აშშ (ფედერალური გამოძიების ბიუროსთან (FBI) და აშშ-ს საელჩოსთან გაფორმებული მემორანდუმები);
- ბელარუსი (ბელარუსის საგამოძიებო კომიტეტთან გაფორმებული დოკუმენტი);
- გაერთიანებული სამეფო (დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სააგენტოსთან (National Crime Agency) გაფორმებული მემორანდუმი);
- გერმანიის მიწები (რაინლანდ-პფალცის, ბადენ-ვიურტემბერგის, ჰესენისა და საქსონიის ფედერალური მიწების შესაბამის სამინისტროებთან გაფორმებული დოკუმენტები);
- ესპანეთი (ესპანეთის სამოქალაქო გვარდიასთან გაფორმებული დოკუმენტი ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ);
- იტალია (იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებული დოკუმენტი საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე და კარაბინიერების კორპუსთან გაფორმებული დოკუმენტი თანამშრომლობის შესახებ);
- ლიეტუვა (ლიეტუვის პოლიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული დოკუმენტი);
- კატარი (შს სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმი);
- საფრანგეთი (საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებული დოკუმენტები ერთობლივი ჯგუფის შექმნის შესახებ და საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს პოლიციის ოფიცრების საფრანგეთში მივლენის თაობაზე);
- სომხეთი (სომხეთის პოლიციასთან თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ გაფორმებული დოკუმენტი);
- ფიჯი (ფიჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმი);
- შვედეთი (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ გაფორმებული დოკუმენტი);

- შვეიცარია (შვეიცარიის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტთან მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული დოკუმენტი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აფორმებს ერთობლივ განცხადებებს ევროპული მისწრაფებების/ევროპული ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დეკლარირებულ თანამშრომლობას შინაგან საქმეთა სამინისტროს სფეროში შესაძლებლობების განვითარების კუთხით. ასეთი ტიპის დოკუმენტები გაფორმებულია მოლდოვის, რუმინეთის, ესტონეთის, ლიეტუვის, ლატვიისა და უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებთან.

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (Frontex) გაფორმებული სამუშაო შეთანხმება

2021 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს შორის გაფორმდა ახალი სამუშაო შეთანხმება (ჩაანაცვლა 2008 წელს გაფორმებული მოძველებული შეთანხმება), რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას საზღვრის მართვის არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. აღნიშნული ხორციელდება ინფორმაციისა და ანალიტიკური პროდუქტების გაცვლისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავებთან ერთობლივ ოპერაციებში მონაწილეობის გზით. სამუშაო შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს სამართალდამცავთა გადამზადებას და ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებას.

სამართალდაცვითი ტრენინგის სფეროში ევროკავშირის სააგენტოსთან (European Union Agency for Law Enforcement Training - CEPOL) გაფორმებული დოკუმენტი

2011 წელს შს სამინისტროს აკადემიასა და სამართალდაცვითი ტრენინგის სფეროში ევროკავშირის სააგენტოსთან გაფორმებულ იქნა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას პროფესიული განათლების სფეროში, მხარეთა მიერ ორგანიზებულ ტრენინგის კურსებში პოლიციის ოფიცრების მონაწილეობისა და ტრენინგების კურიკულუმების ჰარმონიზების გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე გაფორმებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების სრული სია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

<https://police.ge/files/IRD/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90.pdf>